პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 153

20 19 წ. "15" 08

ქ.თბილისი

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის" ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის'' მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 511-ით.
2. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 აგვისტო.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №13 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სატყეო საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში 0821	48	78	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
2	ვეტერინარია (1)	მეხუთე დონე/ საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0841 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 010252	120	150	ქართული	45	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
3	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	34	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
4	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	89	104	ქართული	45	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
5	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
6	საავტომობილო გზების მშენებლობა (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	84	99	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
7	ვებტექნოლოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 0612	65	95	ქართული	40	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111

8	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
9	სავალი ნაწილის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	68	83	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
10	აგრომექანიზაცია (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში 0716	92	122	ქართული	28	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
11	სასტუმრო მომსახურება (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში 1013	86	116	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
12	ელექტროობა (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	70	100	ქართული	30	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმის სტილისტი (1)	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	72	87	ქართული	38	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111

2	მეფუტკრე (2)	მესამე საფეხური	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	72	87	ქართული	7	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
3	მეთევზეობა (1)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	100	130	ქართული	7	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
4	ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება (2)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 041065	85	115	ქართული	7	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
5	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	39	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111
6	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	91	106	ქართული	11	ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა №111

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).